


რელიგიის თავისუფლების, თანასწორობის და სეკულარობის კუთხით არსებული გარემო

2025 წლის მარტი



რელიგიის თავისუფლების,
თანასწორობის და
სეკულარობის კუთხით არსებული
გარემო

2025 წლის მარტი

მომზადებულია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის მიერ (TDI)

www.tdi.ge



ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი (TDI) აგრძელებს დაკვირვებას რელიგიისა და რწმენის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით არსებულ გარემოზე. მონიტორინგი მოიცავს საჯარო უწყებების, პოლიტიკური პარტიების, პოლიტიკოსების, საჯარო პირების, სასულიერო პირებისა და რელიგიური ინსტიტუტების განცხადებებსა და აქტივობებს.

წინამდებარე მიმოხილვა ასახავს 2025 წლის მარტის პერიოდს.

ასევე შეგიძლიათ, იხილოთ რელიგიის თავისუფლების, თანასწორობისა და სეკულარობის კუთხით მონიტორინგის **2024 წლის ანგარიშები**:

წინასარჩევნო პერიოდი:

[25 აგვისტოდან 25 სექტემბრამდე](#)

[25 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე](#)

არჩევნების შემდგომ პერიოდში:

[26 ოქტომბრიდან 26 ნოემბრამდე](#)

[26 ნოემბრიდან 26 დეკემბრამდე](#)

2025 წლის ანგარიშები:

[26 დეკემბერი, 2024 - 2025 წლის 31 იანვარი](#)

[თებერვალი](#)

ფოტო გარეკანზე: გიორგი მოსიაშვილი (მოსე)



სარჩევი

ძირითადი მიგნებები	4
1. „ქართული ოცნების“ მიერ რელიგიითა და იდენტობით მანიპულირება	5
1.1. ანტიდასავლური და პროპაგანდისტული გზავნილები პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერასთან დაკავშირებით	6
1.2. საპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსება	9
2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები	10
3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის პროპაგანდისტული, ანტიდასავლური განცხადებები	12

ძირითადი მიგნებები

საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება, წინა თვეების მსგავსად, აგრძელებდა ანტიდასავლურ და ადამიანის უფლებების საწინააღმდეგო რიტორიკას, რომლის ერთ-ერთი ცენტრალური საყრდენი ფსევდორელიგიური ნარატივები და მართლმადიდებელი ეკლესიის სახელით მანიპულაციაა. მათი განცხადებებით, „ომის პარტია“ და „დიპ სტეიტი“ საქართველოში დამოუკიდებლობას, ტრადიციებს და ღირებულებებს ებრძვის, და ამ მისიას „ლიბერალური ფაშიზმის“ მხარდამჭერი არასამთავრობო ორგანიზაციები, დემონსტრანტები და პოლიტიკური ოპონენტები ახორციელებენ თავიანთი საქმიანობით.

„ქართულმა ოცნებამ“ აქტიურად დაიწყო დასავლელი პარტნიორებისა და ქვეყნების „უცხოური ძალის“ სახელით მოხსენიება. წინა პლანზე წამოწეულია ბრალდებები, რომ აღნიშნული ძალების მიზანი, საქართველოს ომში ჩართვა, პოლიტიკური რევოლუციის მოწყობა, ეროვნული ტრადიციების და ღირებულებების განადგურებაა. „ქართული ოცნება“ კი ამ ძალებთან დაპირისპირებაში, სარწმუნოებას და ეროვნულობას იცავს.

დადებით ტენდენციად, წინა პერიოდების მსგავსად, უნდა აღინიშნოს მართლმადიდებელი სასულიერო პირების განგრძობადი განცხადებები, რომლებშიც ისინი კვლავინდებურად გამოხატავენ ძალადობას და რეპრესიებს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ, აკრიტიკებენ რეპრესიებზე პასუხისმგებელ მხარეს და პროეგროპული კურსისადმი ღია მხარდაჭერას გამოხატავენ.

1. „ქართული ოცნების“ მიერ რელიგიითა და იდენტობით მანიპულირება

ისევე, როგორც წინა საანგარიშო პერიოდში, „ქართული ოცნება“ მანიპულირებდა ფსევდორელიგიური ნარატივებით და თავს წარმოაჩენდა ქრისტიანობისა და ტრადიციების მცველ პოლიტიკურ ძალად. ამ კონტექსტში, ოპონენტები, უფლებადამცველები, მედია და სამოქალაქო აქტივისტები „ეკლესიის, მართლმადიდებლობისა და რელიგიის წინააღმდეგ მებრძოლები“, „აგენტურა“ და „ლიბერალი ფაშისტები“ [არიან](#).

საანგარიშო პერიოდში, პარტია „ქართულმა ოცნებამ“ დაჩქარებული წესით მიიღო ანტიკონსტიტუციური და არადემოკრატიული რეპრესიული კანონები, მათ შორის [ცვლილებები](#) „გენდერული თანასწორობის შესახებ“, „საჯარო სამსახურის შესახებ“ და „მაუწყებლობის შესახებ“ კანონებში, „სისხლის სამართლის“ კოდექსში. პარლამენტის რეგლამენტის ცვლილებით, გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არასამთავრობო ორგანიზაციათა მონაწილეობა სავალდებულო აღარ იქნება. ამასთან, [დაინიცირა](#) ახალი საკანონმდებლო ინიციატივა „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანულ კანონებში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის მიხედვითაც „ქართული ოცნების“ პარლამენტს და სასამართლოს არსებული თუ სამომავლოდ შექმნილი ოპოზიციური პარტიების აკრძალვა შეეძლება.

საკანონმდებლო ცვლილებების საჭიროებაზე საუბრისას, „ქართული ოცნება“ და მისი სატელიტები მანიპულაციურად იყენებდნენ „ეკლესიის“ სახელსაც. პროპაგანდისტვის მათი მთავარი გზავნილია, რომ არსებობს „ომის პარტია“ და „დიპ სტეიტი“, ვინც საქართველოში დამოუკიდებლობას, ტრადიციებს და ღირებულებებს ებრძვის არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებისა თუ სხვადასხვა მექანიზმით. მათი ნებისმიერი ოპონენტი კი „ლიბერალური ფაშიზმის“ მხარდამჭერია. მაგალითად, „ქართული ოცნების“ პრემიერ-მინისტრის [ირაკლი კობახიძის](#) შეფასებით, „*არავის არ გავუტარებთ ლიბერალური ფაშიზმის წარმატების მცდელობას ჩვენს ქვეყანაში. ყველაფერი არის შესაბამისობაში სამართლებრივ პრინციპებთან და ვინც აპროტესტებს ამ კანონებს, ყველა არის ლიბერალური ფაშიზმის მხარდამჭერი და ომის პარტიის, სიძულვილის პარტიის მხარდამჭერი ჩვენს ქვეყანაში*“.

1.1. ანტიდასავლური და პროპაგანდისტული გზავნილები პარტნიორი ქვეყნების მხარდაჭერასთან დაკავშირებით

დასავლეთი: „უცხოური ძალა“, რომელიც სარწმუნოებას და ტრადიციებს ებრძვის:

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი მთავარი ნარატივია, რომ არსებობს „გლობალური იდეოლოგია“, რომელიც საქართველოში სუვერენიტეტს, მართლმადიდებლობას და ოჯახურ ღირებულებებს ებრძვის. ამ პროპაგანდისტის აქტიურად იყენებენ სამ ტერმინს: „გლობალური ომის პარტია“, „დიპ სტეიტი“ და „ლიბერალური ფაშიზმი“. სინამდვილეში, ეს ნარატივი ეფუძნება შეთქმულების თეორიას, რომელიც თავის მხრივ, ეყრდნობა ანტილიბერალური და ანტიდემოკრატიული სამყაროს პარადიგმას. წინა პლანზე წამოწეულია ბრალდებები, რომ აღნიშნული ძალების მიზანი საქართველოს ომში ჩართვა, პოლიტიკური რევოლუციის მოწყობა, ტრადიციების და ღირებულებების განადგურებაა. „ქართული ოცნება“ კი ამ ძალებთან დაპირისპირებაში [სარწმუნოებისა და ეროვნულობის მცველია](#).

„ქართული ოცნების“ განცხადებებით, „გლობალური ომის პარტია“, „დიპ სტეიტი“ და „ლიბერალური ფაშიზმი“ საქართველოში „ლგბტ პროპაგანდას“ ავრცელებს, „ანადგურებს ტრადიციებს“, ებრძვის „ეკლესიას“, „პატრიარქს“, „საპატრიარქოს“ - ეს ყველაფერი კი „უცხოური ძალის“ დაფინანსებით და „ქართული ოცნების“ ოპონენტების (პოლიტიკური ოპოზიცია, სამოქალაქო სექტორი) ძალისხმევით ხორციელდება. ასევე, „ქართული ოცნების“ ლიდერები დასავლეთსა და ოკუპანტი რუსეთის ხელისუფლებას, და მათ საგარეო ინტერესებს შორის ტოლობის ნიშანს სვამენ; საქართველოს წარმოაჩენენ იზოლაციურ კონტექსტში, სადაც ეროვნული და საქართველოს პარტნიორი ქვეყნების ინტერესები ერთმანეთს არ ემთხვევა.

[მამუკა მდინარაძე](#), „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, 31 მარტი: „[...]სხვის საქმეს აკეთებს, ვინც არ უნდა იყოს ეს სხვა. იქნება ეს ჩრდილოელი მეზობელი და ოკუპანტი, დასავლელი, აღმოსავლეთელი, თუ სამხრეთელი, ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. სხვას ყველას აქვს თავისი ინტერესი. ბევრ შემთხვევაში, არ შეიძლება შენი ინტერესი, სხვათა ინტერესს ემთხვეოდეს.“

[გურამ მაჭარაშვილი](#), „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 11 მარტი: „საქართველო არის პირველი ქვეყანა მსოფლიოში, სადაც ხმა ამოვიღეთ, ხალხი შევაიარაღეთ სიმართლით და ვთქვი, რომ არ შეიძლება ომი უკრაინაში და მითუმეტეს დაუშვებელია საქართველოში. ვთქვი, რომ მშვიდობა ჯობია ომს, რომ ლგბტ პროპაგანდა არის თავსმოხვეული, ტრადიციების განადგურება არის უცხოური ძალის მიერ დაფინანსებული.“

კახა კალაძე, ქალაქ თბილისის მერი, 20 მარტი: „[...] საპატრიარქოზე, პატრიარქზე, სარწმუნოებაზე, ეკლესიაზე დარტყმა ხდებოდა გარედან დაფინანსებით. ეს არა მხოლოდ საქართველოში ხდება, ზოგადად ყველა ქვეყანაში სადაც ომის პარტია, გლობალური ომის პარტია ვერ ატარებს თავის ინტერესს, მაშინვე ხდება შეურაცხყოფები“.

დავით ქართველიშვილი, „ქართული ოცნების“ სატელიტი პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, 16 მარტი: „სირიაში მთელი „პროგრესული“ მსოფლიოს თვალწინ მიმდინარე ქრისტიანებისა და სხვა რელიგიური უმცირესობების გენოციდი არის სხვა არაფერი, თუ არა იმავე „დიპ სტეიტის“ მიერ კაცობრიობის წინააღმდეგ განხორციელებული მორიგი დანაშაული – სუვერენული სახელმწიფოს დასუსტების, საგარეო ძალების ჩარევის პროვოცირებისა და რადიკალური ისლამიზმის ზეგავლენების ზრდის მიზნით.“¹

„მეგობარი აქტი“ – „მტრული აქტი“

27 მარტს, აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა საქართველოსთან დაკავშირებულ ორპარტიულ კანონპროექტს - „მეგობარი აქტს“ მხარი დაუჭირა. აღნიშნული კანონპროექტი სენატში 5 მარტს, მაღალი რანგის დემოკრატმა და რესპუბლიკელმა ლიდერებმა წარადგინეს. აქტი ორპარტიული მხარდაჭერით სარგებლობს და მოიცავს როგორც საქართველოს მოსახლეობის მხარდამჭერ გეგმას, ასევე „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიული და ანტიდასავლური პოლიტიკის საწინააღმდეგო ზომებს და სანქციების მექანიზმს. 22 მარტს, თბილისში, აშშ-ს მეგობარი აქტის მხარდამჭერი მარში გაიმართა. მსვლელობაში მონაწილე მოქალაქეებს, აქციაზე მიტანილი ჰქონდათ აშშ-სა და საქართველოს დროშები, პრეზიდენტ ტრამპისა და MEGOBARI აქტის მხარდამჭერი სენატორების ფოტოები. „მეგობარი აქტს“ და მხარდამჭერ მარშს გამოეხმაურნენ „ქართული ოცნების“ წევრები. მათი შეფასებით, ის „მტრული აქტია“.

გურამ მაჭარაშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 22 მარტი: „ამ აქტს ჰქვია არა „მეგობარი აქტი“, არამედ „გადამგდები აქტი“ ან „არამეგობრული აქტი“. არ შეიძლება, რომ **ტრადიციების წინააღმდეგ** მიდიოდეს მეგობარი ქვეყანა, არ სურდეს პარტნიორობა და მშვიდობა ჩვენს ქვეყანაში. ამ აქტმა კი მხარი დაუჭირა ომს, ლგბტ პროპაგანდას, „ნაციონალური მოძრაობის“ დაბრუნებას საქართველოში.“

ირაკლი ჭეიშვილი, „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრი, 22 მარტი: „...**ღიად ეწინააღმდეგებოდე რელიგიურ რწმენას, ოჯახურ ღირებულებებს, მხარს უჭერდე „ლგბტ“**“

¹ აღსანიშნავია, რომ სირიაში 6-10 მარტს დაწყებული ძალადობის პარალელურად საქართველოში და მსოფლიოში აქტიურად ვრცელდებოდა დეზინფორმაციული და ყალბი გზავნილები, რომ სირიაში ქრისტიან მოსახლეობას უმოწყალოდ ხოცავენ და გენოციდს უწყობენ, ხოლო დასავლეთი დუმს, კრიტიკულად არ აფასებს სირიაში განვითარებულ მოვლენებს და ბრიუსელში იწვევს სირიის ხელისუფლების წარმომადგენლებს.

პროპაგანდას ქვეყანაში და თვალთმაქცურად ითხოვდე, დღევანდელი ამერიკის პრეზიდენტის მხარდაჭერას, ზუსტად ეს არის ახლანდელი ხავსს მოჭიდებული ოპოზიციის სახე! ეგრეთწოდებული „მეგობარი აქტი“, თავისი შინაარსით მხარს უჭერს საქართველოში „დიკ სტიეტის“ აგენტურას და დონალდ ტრამპის მაგინებლებს.“

საქველმოქმედო ფონდების დაყადაღება

17 მარტს, საქართველოს პროკურატურამ სასამართლოს განჩინების საფუძველზე, საქართველოში არსებული რამდენიმე საქველმოქმედო ფონდის საბანკო ანგარიშები და მათზე არსებული ფულადი სახსრები [დააყადაღა](#). პროკურატურამ აღნიშნული გამოძიება „ქართული ოცნების“ პროპაგანდისტის, ვატო შაქარაშვილის ორგანიზაციის მიმართვის საფუძველზე დაიწყო. „ქართული ოცნების“ პროკურატურისა და ლიდერების განცხადებების [მიხედვით](#), აღნიშნული ფონდების მიზანი ძალადობის წახალისება, ხელშეწყობა და სახელმწიფოს ფუნქციის გაუქმება იყო. სინამდვილეში, ფონდები სხვა საქველმოქმედო აქტივობებთან ერთად, მშვიდობიან დემონსტრაციებში მონაწილეობისთვის რეპრესირებული მოქალაქეებისა და მათი ოჯახების დახმარებას ითვალისწინებდა.

აღნიშნულ თემაზე კომენტარისას „ქართული ოცნების“ პარლამენტის წევრმა [ირაკლი ზარქუამ](#) „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური გზავნილები გაიმეორა და მართლმადიდებელი ეკლესიის სახელი მანიპულაციურად გამოიყენა: „ჩვენთვის ეს გაშიფრული სცენარია და არ გვაინტერესებს. ვინც არ უნდა დააფინანსოთ და რა ფონდებიც არ უნდა შექმნან, ქართველმა ხალხმა იცის, რომ ისინი რევოლუციის, ქაოსისა და არეულობის მხარეს დგანან, ხოლო ერი, ბერი, ეკლესია და საზოგადოება ქვეყნის გაერთიანებაზეა ორიენტირებული“.

1.2. საპატრიარქოს სახელმწიფო დაფინანსება

საანგარიშო პერიოდში, მართლმადიდებელი ეკლესიის სახელის პოპულისტური მიზნებისთვის გამოყენების პარალელურად, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ გააგრძელა და გაზარდა მართლმადიდებელი ეკლესიის საპატრიარქოს დაფინანსება. საგულისხმოა, რომ საპატრიარქოსთვის სახელმწიფოს მიერ უძრავი ქონებისა თუ სხვა ფინანსური რესურსის გადაცემის მასშტაბის ზრდა აქტუალურ პოლიტიკურ პროცესებს უკავშირდება, რაც შეიძლება დომინანტი რელიგიური ინსტიტუტისგან პოლიტიკური ლეგიტიმაციისა და კეთილგანწყობის მოპოვების სურვილით აიხსნას.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 14 მარტის [განკარგულებით](#), სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში, აგრეთვე მასთან არსებული უმაღლესი სასწავლებლების, პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე საქველმოქმედო ფონდებისათვის საქართველოს საპატრიარქოს 43,035,000 ლარის ოდენობის თანხა გადაეცა. [2024 წელთან](#) შედარებით, იგივე ტიპის დაფინანსება 8 მილიონი ლარით, ხოლო [2023 წელთან](#) შედარებით, 9,684,787 ლარით არის გაზრდილი.

ამასთან, ყოველწლიურად საქართველოს საპატრიარქო ფინანსურ დახმარებას იღებს სახელმწიფო [ბიუჯეტიდან](#) (25,000,000 ლარი) და ადგილობრივი მუნიციპალიტეტებიდან. ფინანსური დახმარების გარდა ასევე გრძელდება საპატრიარქოსთვის სახელმწიფო ქონების გადაცემაც.

2. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ძალადობის დამგმობი და დემონსტრანტების მხარდამჭერი განცხადებები

დადებითი ტენდენცია საანგარიშო პერიოდშიც შენარჩუნდა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი კვლავინდებურად კრიტიკულად ეხმაურებოდა „ქართული ოცნების“ ანტიევროპულ კურსს, გმობდა ძალადობას და რეპრესიებს მშვიდობიანი დემონსტრანტების მიმართ და მათდამი ღია მხარდაჭერას გამოხატავდა.

განცხადებები დემონსტრანტების მიმართ რეპრესიებზე:

არქიმანდრიტი [შიო კვარაცხელია](#), 2 მარტი: „ისინი დასდევენ საკუთარ მოსახლეობას 5000 ლარიანი ჯარიმებით, და ეს ჯარიმები და ეს პატიმრობა, ქუხს ამ უსამართლო რეჟიმის წინააღმდეგ. [...] ეს პატიმრები, ეს დაჯარიმებული ხალხი ყველაზე მეტად ამხელენ ამ რეჟიმს, იმიტომ რომ საქვეყნოდ გამოჩნდა ამ რეჟიმის შეთქმულება საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს რეჟიმი რომ გონს მოსული იყოს, არ დაუწყებდა საკუთარ ხალხს ასე დევნას, მაგრამ ისინი შეშინებულები არიან და საკუთარი სიმბდალის დასაფარად დასდევენ ხალხს და აჯარიმებენ გაუგებარი მიზეზებით.“

არქიმანდრიტი [დოროთე ყურაშვილი](#), 23 მარტი: „...ნუ ეძებთ ძალმოსილებში ჭეშმარიტებას, ჭეშმარიტება ეძებეთ ჯვარცმულებში სიყვარულისთვის, ქვეყნის ერის სიყვარულისთვის, თავისუფლების სიყვარულისთვის, დამოუკიდებლობის სიყვარულისთვის ჯვარცმულებში ეძებეთ ღმერთი, მათთანა ღმერთი, ღმერთი მათშია დამკვიდრებული, და არა იმათში ვინც კლავს ვინც იჭერს ვინც აპატიმრებს ვინ ძალმომრეობს. მათში არ არის მათთან არ არის ღმერთი, არასოდეს არ იქნება...“

არქიმანდრიტი [ილია ჯინჯოლავა](#), 28 მარტი: „იყო ძალადობა, იყო გაბრაზება. ახლა კი უფრო მეტი ძალადობაა — ბრუტალური მეთოდებით ბრძოლა, უსამართლო „სასამართლოს“ მიერ გამოტანილი წარმოდგენილი ჯარიმები, შიში, რომელიც ჩრდილივით გაბატონებულია. ეს სურთ მათაც. ყველა ხვდება ამას, მაგრამ დუმს. ხვდებიან თვით ძალადობისა და უსამართლობის მომხრეებიც — იძულებით ქილიკებენ, ტაშს უკრავენ, მაგრამ ადრე თუ გვიან, ეს ბოროტი მანქანა მათაც სადღაც გასრისავს.“

განცხადებები „ქართული ოცნების“ პროპაგანდაზე, რომ 2008 წლის ომი ქართულმა მხარემ დაიწყო

5 თებერვალს „ქართული ოცნების“ პარლამენტმა მხარი დაუჭირა „2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომიებო კომისიის“ შექმნას. 26 მარტს მისი მანდატი გაფართოვდა და მოიცავს 2003 წლიდან დღემდე პერიოდს. საანგარიშო პერიოდში, საგამომიებო კომისიამ გენერლები დაიბარა და რუსეთის საქართველოში შემოჭრისა და ოკუპაციის (2008 წლის აგვისტოს ომი) საკითხი განიხილა. გამოკითხვების წარმმართველები და „ქართული ოცნების“ [ლიდერები](#) ხშირად მკაფიოდ მიაწინებდნენ ქართული მხარის მიერ ომის დაწყების ბრალეულობაზე, რაც ეწინააღმდეგება [ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსა](#) და [ჰააგის სასამართლოს](#) მიერ დადასტურებულ ფაქტებსა და გადაწყვეტილებებს. აგვისტოს ომის დაწყებაში „ქართული ოცნების“ მიერ ქართული მხარის დადანაშაულებაზე კომენტარი გააკეთა სასულიერო პირების ნაწილმა.

მაგალითად, მართლმადიდებელმა მღვდელმა [გრიგოლ ჭეჭიამ](#), 29 მარტს, საკუთარ ფეისბუქ გვერდზე დაწერა, რომ „საქართველო ჩვენი ოჯახია და არა ცალკე აღებული ნაცების და მითუმეტეს ქოცების, ჩვენი ყველასი ერთად“ და ხაზი გაუსვა საქართველოს წინააღმდეგ „ბოროტების იმპერიის“ (რუსეთის) ქმედებებს. „სადაც იმას იმახით, რომ ჩვენ დავიწყეთ ომი, შეურაცხყოფა ჩვენი ოჯახის ეს ყველაფერი“- აღნიშნა სასულიერო პირმა.

არქიმანდრიტი [გაბრიელ ლურჯვია](#), 29 მარტს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე გამოეხმაურა დემონსტრანტი მოქალაქის დაკავებას, რომელსაც ხელში ეჭირა პლაკატი წარწერით, [„ანწუხელიძე უკვდავია.“](#)² „*ანწუხელიძე გმირია!!! რუსეთი ოკუპანტია და მისი მომხრეები კი საქართველოს გამყიდველები არიან.*“ - დაწერა არქიმანდრიტმა.

არქიმანდრიტმა [ილია ჯინჯოლაძემ](#), 30 მარტს ასევე სოციალურ ქსელში დაწერა, რომ „*ბოროტებას სწორედ ის ინსტიტუტები [ჯარი და ეკლესია] სურს დაასუსტოს, რომლებიც ერის სულიერ და ფიზიკურ მდგრადობას განაპირობებს. ეკლესია და ჯარი ძლიერდება მაშინ, როცა საზოგადოება რწმენასა და სიმართლეს იცავს. დღეს ბრძოლა მხოლოდ პოლიტიკური ან ეკონომიკური არ არის – ეს ბრძოლა სულის, ღირსებისა და ჭეშმარიტების დასაცავად მიმდინარეობს.*“

² გიორგი ანწუხელიძე მეოთხე ქვეით ბრიგადაში მსახურობდა. ის 2008 წლის აგვისტოს ომის დროს, 23 წლის ასაკში, ტყვედ ჩავარდა და სასტიკი წამების შემდეგ, ოსმა სეპარატისტებმა ცემით მოკლეს.

3. მართლმადიდებელი სასულიერო პირების ნაწილის პროპაგანდისტული, ანტიდასავლური განცხადებები

მართლმადიდებელი ეკლესიის სასულიერო პირების ნაწილი ქადაგებებსა და საჯარო გამოსვლებში აგრძელებდა, როგორც ხელისუფლების მხარდამჭერ, ისე სამოქალაქო საზოგადოების, ადამიანის უფლებების და ევროკავშირის საწინააღმდეგო რიტორიკას. პროევროპულ საპროტესტო დემონსტრაციებს, რომლებიც 2024 წლის ნოემბრიდან უწყვეტად მიმდინარეობს თბილისსა და სხვა ქალაქებში, ისინი „თავსმოხვეულ და მართულ პროცესად“ განიხილავენ, ხოლო დასავლეთს „არეულობის“ შემოტანაში ადანაშაულებენ.

მაგალითად, ბოდბის მთავარეპისკოპოსის იაკობ იაკობაშვილის [2](#), [9](#) და [30](#) მარტის ქადაგებები ანტიდასავლურ გზავნილებსა და „ქართული ოცნების“ ოპონენტების დისკრედიტაციას ეფუძნება:

გზავნილი: დასავლეთი საქართველოს შიდა საქმეებში ერევა:

„როდესაც მსოფლიოში ამდენი არეულობაა და ამ პატარა საქართველოსთვის იცლი, ან მართლა ქრისტე უნდა იყო, ან - დიდი ინტრიგანი. გამეცინა, გუშინ ვნახე შვედეთიდან უთანაგრძნეს [პროტესტის მონაწილეებს]. მინდა უცხოელებს ვუთხრა, თავიანთ ერებს მიხედონ და ჩვენთან თუ კეთილი ურთიერთობა უნდათ, შეგვეშვან“.

საქართველოს მე-5 პრეზიდენტის, სალომე ზურაბიშვილის დისკრედიტაცია:

„მე ყოფილი პრეზიდენტის მიკვირს, რომ დადიხარ ესტონეთში და რაღაცებს ლაპარაკობ, გაგახსენდეს, რომ შვილების დედა ხარ და სხვებსაც შვილები ჰყავს. ვისი სისხლით გინდა რაღაცის გაკეთება“.

ჭყონდიდის, ცაგერისა და ლენტეხის მიტროპოლიტი სტეფანე კალაიჯიშვილი წინა ქადაგებების მსგავსად, [9](#), [15](#) და [22](#) მარტის ქადაგებებისას აგრძელებდა ანტიდასავლურ და „ქართული ოცნების“ რიტორიკის თანმხვედრ განცხადებებს:

გზავნილი: დასავლეთს საქართველოში დაპირისპირების შემოტანა სურს და სამოქალაქო პროტესტს ხელოვნურად აცოცხლებს:

„სამოქალაქო დაპირისპირების შემოტანა უნდათ. ყველა ძალები ცდილობენ რომ რამენაირად სული შებერონ ვილაცეებს, ქუჩაში დგანან და უაზროდ რომ იმახიან თითქოს არჩევნები არ ჩატარდა, საქართველოში ახალი არჩევნები. რაღაცეებს სისულელეებს იმახიან... საგარეო მინისტრები, ზოგი ქვეყნები, განცხადებებს განცხადებებზე აცხობენ რომ ოღონდაც ამათ რამენაირად მეზობელი სული შეუნარჩუნონ, ვინც ეხლა იმასთან [აქციებზე] დგას.“

გზავნილი: დასავლეთი საქართველოში ღირებულებებს ებრძვის, ხოლო „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ამ ღირებულებებს იცავს:

„ხელისუფლება დღეს სწორად მოქმედებს, ღმერთმა არ ქნას რომ ეს გეზი შეიცვალოს, თორემ მერე წამოვა ახალი მზაკვრობები...[დასავლეთს უნდა] ეს კანონი მოვხსნათ, რატომ უნდა მოვხსნათ კანონი, რომელიც ოჯახის სიწმინდისთვის შემოვიღეთ. რატომ? ესე იგი იმათ უნდათ რომ ოჯახს დაარტყან“.

შეთქმულების თეორია აქციების მონაწილეების შესახებ, მათი დისკრედიტაციის მიზნით:

„ისინი უნდოდათ გამოეცხადებინათ ხალხად, ვინც შიგ ევროპას ყვიროდნენ ... უნდათ, რომ ვილაცეები ციხეში დაიჭირონ, რომ მერე მაგათზე იდავონ ... “

ანტიდასავლურ განცხადებებს ავრცელებდა სხალთის ეპარქიის ეპისკოპოსი სპირიდონ აბულაძე [12](#) და [30](#) მარტის ქადაგებისას. ის ევროკავშირს და ყველა მის მხარდამჭერს მოიხსენებდა „სატანისტ“ და „გარყვნილ“ ძალად, „ქართულ ოცნებას“ კი საქართველოს მცველად, ვინც „ამხელს და ემიჯნება სატანისტ ევროპას“.